



საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული
სააგენტოს
გენერალური დირექტორი

ბრძანება № 2/62

3 აპრილი 2015 წ.

ქ. თბილისი

კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული
ობიექტებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის
სტატუსის მინიჭების თაობაზე

საქართველოს უმნიშვნელოვანეს ისტორიულ-კულტურულ
ფასეულობათა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, „საქართველოს
ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 51-ე, 52-ე, 53-ე მუხლების, „კულტურული
მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 პუნქტისა და
საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული 2014 წლის 8
აპრილის №1 ადმინისტრაციული ხელშეკრულების 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის „ა“
ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. მიენიჭოს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი ამ
ბრძანების დანართში მითითებულ ობიექტებს.
2. დაევალოს სააგენტოს იურიდიულ სამსახურს ამ ბრძანების ამოქმედებიდან ერთი თვის
ვადაში ბრძანების დანართში მითითებული ობიექტების მონაცემების კულტურისა და
ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინტერნეტგვერდზე ასახვის მიზნით შესაბამისი
დონისძიების განხორციელება;
3. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ოფიციალური
გაცნობიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა N4).



გენერალური დირექტორი

ნიკოლოზ ანთიმე

დანართი

ბრძანება N 2/62

03.04 2015 წ.

N	ფოტო	სახელწოდება	ადგილმდებარეობა	სახეობა	თარიღი
1		ერისთავების სასახლე	კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ლამისყანა	არქიტექტურის	XIX საუკუნის I ნახევარი
2		ვეზირიშვილების (ყოფილი) საცხოვრებელი სახლი	ხაშურის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო ოსიაური	არქიტექტურის	XIX საუკუნის შუა წლები